



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
29/10/2019

ანგარიშის წარდგენის თარიღი
04/12/2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი	218076542
დაწესებულების ტიპი	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის დასახელება	ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი (100502)
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დოქ. მარ გუთიერეზ-კოლონ პლანა უნივერსიტეტი როვირა ი ვირჯილი, ესპანეთი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ჯოჯუა, დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლალი ბერიშვილი, წმ. გიორგის ბრიტანულ-ქართული სკოლა, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანჟელა აბულაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	

აკრედიტაციის დასკვნის რეზიუმე

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამა წარმოდგენილია სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში უკვე არსებული პროგრამის განსახილველად.

პროგრამა კარგად არის შედგენილი და სწორად ვითარდება იმ მიზნების, სწავლის შედეგების, შინაარსისა და სტრუქტურის, სწავლების მეთოდების, სტუდენტთა სერვისების და ა.შ. მიხედვით, რომლებიც მოცემულია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის სტანდარტებში. მატერიალური რესურსები, დაწესებულების ბიუჯეტი და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები კარგად არის ორგანიზებული და განხორციელებული.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა

აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ბაკალავრიატის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა უზრუნველყო მრავალი ინფორმაციისა და ცნობის მიღება შემდეგი ანგარიშის შემუშავებისთვის.

ინსტიტუტში ჩატარებულმა ვიზიტმა (ბიბლიოთეკა, საკლასო ოთახები, ოფისები და კორპუსები) გამოავლინა, რომ პროგრამა იყენებს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის რეზიუმე

- სტანდარტი 1:მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2:მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 3:შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4:შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5:შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

▪ რეკომენდაციების რეზიუმე

- სასურველია, გამოყენებითი ინგლისური (როგორც სწავლების, ისე შეფასებისთვის) დაემატოს საგნების სილაბუსებს. ეს არის, უფრო მეტი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე, როგორც მასწავლებლების, ასევე სტუდენტების მიერ და, შესაბამისად, ენის ცოდნის უფრო მეტად შეფასება, განსაკუთრებით ინგლისურად კრიტიკულ აზროვნებაში და ლაპარაკში. ამ გზით, პროგრამა მეტად მოიცავს დამსაქმებელთა მოთხოვნებს.
 - სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, პროგრამამ სტუდენტებს უნდა შესთავაზოს კურსების მრავალფეროვნება, რომლის შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს ცოდნის დონეს.
 - ზოგიერთი საგნის ბიბლიოგრაფია საჭიროებს განახლებას, ზოგჯერ კი შეცვლას (როგორც ინგლისური ენის საგანში). უფრო მეტი კვლევითი სტატიები უნდა დაემატოს საკითხავი მასალის ჩამონათვალს.
 - გარკვეულ შემთხვევებში, კრედიტების განაწილება უნდა გადაიხედოს და შეესაბამოს კურსის შინაარსს, მოცულობას და სირთულეს.
 - სტუდენტები უკეთ უნდა იყვნენ მომზადებული კრიტიკულ აზროვნებაში და კომუნიკაციური უნარების შეძენაში ინგლისურ ენაზე.
 - პროგრამის შეფასების მეთოდოლოგია / შეფასების ტიპები უნდა შეიცავდეს მეტ მრავალფეროვნებას, რათა შეფასდეს უნარების უფრო ფართო მასშტაბები. აღნიშნული მეტ უპირატესობას უზრუნველყოფს ბევრი სხვა უნარის შეძენას, რაც ასე საჭიროა მათ კარიერაში.
- **რჩევების რეზიუმე**
- პროგრამის მიზნები უფრო ღრმად უნდა ასახავდეს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილ წვლილს, რათა მომავალმა სტუდენტებმა კარგად დაინახონ, თუ რა არის კომპეტენციები, რომელთა შეძენასაც აპირებენ. ასევე, საგნების სილაბუსში უნდა იყოს მითითებული სწავლების ენა, რათა სტუდენტებსა და მომავალ უცხოელ სტუდენტებს შეეძლოთ საგნის არჩევა ასევე სწავლების ენის მიხედვით.
 - საჭიროა ინტერნაციონალიზაციის გაზრდა (მისაღები სტუდენტები), აგრეთვე ინგლისურ ენაზე სწავლების საგნების გაზრდის აუცილებლობა (პროგრამის სახელის შესაბამისად).
 - FCE-ის გამოცდის წარმატებით დასრულებისა და დემონსტრირების უზრუნველსაყოფად, სასურველია, რომ თავიდანვე დაინერგოს იმიტირებული ტესტები და FCE ტესტების მეცადინეობა თავიდანვე, სულ ცოტა, თითო კურსისთვის ერთხელ (ინგლისური I- ინგლისური VI). სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუმ აჩვენა, რომ უმეტესწილად მათ არ აქვთ ინფორმაცია, თუ როგორი იქნება საბოლოო გამოცდა.
 - უნივერსიტეტმა ლექტორებს უნდა მიაწოდოს სასწავლო კურსები ახალი მეთოდოლოგიის შესახებ ბოლონიის პროცესთან შესაბამისობაში. ამ მიზნით

მოწვეული ლექტორების (უცხო ქვეყნები, სხვა უნივერსიტეტები ..) ჩამოყვანა იქნებოდა მნიშვნელოვანი ქმედება.

- თუ სტუდენტებს არ აქვთ სათანადო ცოდნის დონე, რათა საგნები ინგლისურ ენაზე ისწავლონ, შესაძლოა, ინგლისური ენის "ფუნდამენტური პროგრამა" შესთავაზონ, ან იქნებ MOOCS (მასიური ონლაინ ღია კურსები) უნდა შევიდეს პროგრამაში ენის ცოდნის გასაუმჯობესებლად. იხილეთ უფასო და მაღალი ხარისხის ონლაინ კურსები (რჩევა: <https://www.edx.org/es/course/upper-intermediate-english-modern-life-0>, there are 4 courses like this that increase in difficulty).
- რადგანაც NAEC-ის (შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი) გამოცდის გამსვლელი ქულა არ უზრუნველყოფს B1 დონეს ინგლისურის ოთხივე უნარში (მაგალითად, გამოცდა საერთოდ არ აფასებს მეტყველებას), საჭიროა მინიმუმ ინგლისურის A2 დონის ან მოსამზადებელი კურსის შეთავაზება იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც აჩვენებენ შედარებით დაბალ დონეს. ასევე მათ შეიძლება დასჭირდეთ მინიმალური ქულის / პროცენტის განსაზღვრა და მათი დოკუმენტირება წინაპირობებში და გამჭვირვალე გახადონ აბიტურიენტებისთვის. ასევე, ინტერვიუს დროს პროგრამის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ პირველკურსელებისთვის ინგლისურ ენაზე განაწილების ტესტი ცოდნის მიხედვით, მაგრამ ეს არ არის ასახული პროგრამაში.
- მეტი ინსტრუმენტული საგნები უნდა დაემატოს, ან საგნის უფრო მეტად პრაქტიკული ნაწილები უნდა იყოს ჩართული კურსების პროგრამების ფარგლებში.
- სტაჟირება ხელს შეუწყობს სტუდენტების უნარების გაუმჯობესებას.
- უნდა დაინერგოს სწავლების უფრო მრავალფეროვანი მეთოდი: პროექტზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი (case studies), დავალებაზე დაფუძნებული სწავლება, როლური თამაშები და ა.შ.
- ჩართეთ უფრო მრავალფეროვანი მეთოდები იმ სტუდენტების შესაფასებლად, რომლებიც ფლობენ ყველა იმ კომპეტენციას, რომელიც ინგლისურის ფილოლოგიის კურსდამთავრებულს სჭირდება.
- პროტოკოლების შექმნა ყველა სახის შესაძლო კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად.
- ბიბლიოთეკის რესურსების დიგიტალიზაცია.
- საჭიროა ვირტუალური კამპუსი (Moodle რეკომენდირებულია).
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამით მკაფიოდაა განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ფასდება სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები განსაზღვრავს იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც პროგრამა ისახავს მიზნად კურსდამთავრებულებში. პროგრამის მიზნები ასევე ახდენს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შესატანი წვლილის ილუსტრირებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზნები მკაფიო და რეალისტურია, თუმცა ზოგჯერ ისინი დოკუმენტებში მკაფიოდ არ არის ორგანიზებული. პროგრამის მიზნები, ასევე უფრო ღრმად უნდა ასახავდეს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილ წვლილს, რათა მომავალმა სტუდენტებმა კარგად დაინახონ, თუ რა არის ის კომპეტენციები, რომელთა შეძენასაც აპირებენ. პროგრამის მიზნები ასევე შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებსა და სტრატეგიას.

პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ამზადებს რა სტუდენტებს დასაქმების მიზნით კულტურულ-საგანმანათლებლო, საგამომცემლო და ინფორმაციულ ინსტიტუტებში, ასევე - საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებული სამუშაოსთვის.

მიუხედავად ამისა, შრომის ბაზრის ანალიზისა და ახლანდელ თუ პოტენციურ დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით, რეგიონის ტურიზმის სექტორში კურსდამთავრებულებზე მზარდი მოთხოვნაა. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ბევრი კურსდამთავრებული ახერხებს ამ სექტორში დასაქმებას და აკმაყოფილებს დამსაქმებელთა მოთხოვნებს (ისინი ამბობენ, რომ სტუდენტები აჩვენებენ ზოგადი განათლების კარგ დონეს, საქართველოს ისტორიის ცოდნას, თავაზიანობას და ა.შ.), წარმოიშვა რამდენიმე საკითხი, რომლებიც საჭიროებს გადაჭრას; მაგალითად, მთავარი პრობლემა, რაც დამსაქმებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, არის კურსდამთავრებულთა შორის მეტყველების უნარის სიმწირე, აგრეთვე ინტერპერსონალური უნარები, როგორცაა კომუნიკაბელურობა, გამართული და სხარტი მეტყველება. დამსაქმებლებმა (ძირითადად საბანკო სექტორის

წარმომადგენლებმა) ასევე აღნიშნეს, რომ საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს ეკონომიკურ ლექსიკას და ბიზნეს ინგლისურს. პროგრამები ამ მიმართულებით სთავაზობენ მხოლოდ ორ კურსს (ძირითადი არჩევითი): ბიზნეს ინგლისური და ტურიზმი. ამგვარად, პროგრამის ჯგუფმა უნდა იმუშაოს ამ მიმართულებით. პროგრამამ ასევე უნდა გაითვალისწინოს ისეთი საგნების, როგორებიცაა საქართველოს გეოგრაფია და ფსიქოლოგია, მეორე ენის შესწავლა, რომლებიც შესაძლოა დაემატოს არჩევით საგნებს, რადგან კურსდამთავრებულთა უმეტესობა მუშაობს ბანკებში ან სკოლებში, არსებულმა და პოტენციურმა დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტებს სჭირდებათ მეტი ცოდნა ამ სფეროებში.

პროგრამას აქვს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია კონკრეტული მიზნებით და პროექტებით, რომელთა მიზანია პროცესის გაძლიერება. ძირითადად:

1. სტუდენტური და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამები საერთაშორისო მობილობის პროგრამების ფარგლებში (წარმატებული ქეისები 2016-2019: ძირითადად Erasmus +, ასევე პოლონეთის საელჩოსთან და პოლონეთის აკადემიური გაცვლის პროგრამასთან თანამშრომლობის გზით (NAWA), ვარშავის უნივერსიტეტთან და ა.შ.);
2. "ინტერნაციონალიზაცია სახლში" - უცხოელი პედაგოგებისა და პროფესორების ჩართულობა სწავლების / სწავლის პროცესში (აშშ-ის საელჩოს საქართველოში, მშვიდობის კორპუსის მოხალისეები და ა.შ.), ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია ინგლისური ენისა და ლიტერატურის კავკასიის ჟურნალი (CJELL) და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის დაარსება ედვარდ და დანა რაუპების მიერ.

გადასული სტუდენტების რაოდენობა დამაკმაყოფილებელია, ხოლო მისაღები სტუდენტების რაოდენობა ძალიან დაბალია ან თითქმის არ არსებობს. პანელი მტკიცედ მიიჩნევს, რომ ამ პრობლემის მოგვარება იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ინგლისურ ენაზე უფრო მეტი საბაკალავრო პროგრამების სწავლება განხორციელდებოდა. ასევე დაბალია აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობა გაცვლით პროგრამაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის მიზნები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უსდ-ს მისია, მიზნები და სტრატეგია, მისი ფაკულტეტის / სკოლის/ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული და/ან სტრუქტურული ერთეული;
- შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია
- მემორანდუმი და შეთანხმებები პარტნიორ საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან
- მემორანდუმი და შეთანხმებები პოტენციურ დამსაქმებლებთან
- ვებ-საიტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- პროგრამის მიზნები უფრო ღრმად უნდა ასახავდეს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილ წვლილს, რათა მომავალმა სტუდენტებმა კარგად დაინახონ, თუ რა არის ის კომპეტენციები, რომელთა შეძენასაც აპირებენ. ასევე, საგნების სილაბუსში უნდა იყოს მითითებული სწავლების ენა, რათა სტუდენტებსა და მომავალ უცხოელ სტუდენტებს შეეძლოთ საგნის არჩევა სწავლების ენის მიხედვით. - საჭიროა ინტერნაციონალიზაციის გაზრდა (მისაღები სტუდენტები), აგრეთვე ინგლისურ ენაზე სწავლების საგნების გაზრდის აუცილებლობა (პროგრამის სახელის შესაბამისად).
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს და/ან პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, გარდა ერთი საკითხისა: სტუდენტთა მეტყველების კომპეტენცია. როგორც სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, მათ სჭირდებათ ინგლისურ ენას უფრო მეტი შეხება, განსაკუთრებით სწავლისთვის მეტი დრო და უფრო მეტი კურსები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მეტყველების უნარის განვითარებაზე, ცხოვრებისეული რეალისტური კონტექსტის შექმნაზე და ა.შ., შესაბამისად, შესაძლოა, ენის შესწავლის ამ თეორიული მიდგომის შედეგად, პანელმა დაადგინა, რომ ისინი იყენებენ ძალიან მარტივ მასალას (მხოლოდ ერთ ინგლისურენოვან წიგნს) ენის შემსწავლელი საგნებისათვის. ამკარაა, ინგლისურ ენაზე აკადემიური კითხვის და აკადემიური მოსმენის ნაკლებობა. ჩვენ ასევე აღმოვაჩინეთ, თუ რა შეიძლება იყოს შეცდომა პროგრამის შედეგების სექციაში: შემდეგი ჩამონათვალი B1.1, B1.2, B1 +, B2.1, B2.2, B2 + და FCE ბუნდოვანია, რადგან FCE არ არის უფრო მაღალი დონე ვიდრე B2 +. ეს არის გამოცდა B2 / B2 + დონეზე, სრულიად

განსხვავებული კატეგორია, რომელიც სხვაგვარად უნდა დაემატოს პროგრამას. გამოკითხული პროგრამის ჯგუფი დაეთანხმა ამ მოსაზრების გადახედვის აუცილებლობას.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც პროგრამაში უნდა გაუმჯობესდეს, არის პრაქტიკული კომპონენტის ნაკლებობა: პროგრამა თითქმის 100% თეორიულია და, მაგალითად, არ არსებობს პრაქტიკული სწავლების მეთოდი ან ინსტრუმენტული მეთოდი ინგლისური ენის შესწავლისას. ეს ის საკითხია, რომელიც გამოვლინდა ინტერვიუების მსვლელობისას: სტუდენტები არ არიან მომზადებულნი, იმისათვის, რომ პირისპირ დარჩნენ შესაძლო კლიენტებთან იმ ორგანიზაციებში, სადაც ისინი მუშაობენ. პრობლემის გადაჭრის უნარის ნაკლებობა. ეს არის, მეთოდოლოგია, რომელმაც სტუდენტებს უნდა მისცეს საშუალება მოემზადონ კრიტიკულ აზროვნებაში. საჭიროა მეტი ჯგუფური მუშაობა, შინაარსის უფრო მეტი ანალიზი, შინაარსის ზოგიერთი თემის კრიტიკული ხედვა და შეფასება უნდა ასახავდეს მეტ უნარებს (არ არსებობს ჯგუფური მუშაობა, კრეატიულობა, კრიტიკული აზროვნება, ახალი რეალობების აგება შინაარსში და ა.შ.). საგნების უმეტესობა ფასდება სამი ტრადიციული გამოცდით. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგები შექმნილია ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების ...) ჩართულობით, მაგრამ პანელი არ არის დარწმუნებული, რომ პროგრამამ გაითვალისწინა მოთხოვნა მეტყველების უნარებისა და პრაქტიკული ტრენინგის საჭიროების შესახებ.

პროგრამის შედეგები გაზომვადია, მიღწევადია და რეალისტური. ისინი იცავენ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის აღმწერს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი კონკრეტული შედეგი არ არის გასაგები მიღწევის თვალსაზრისით, მაგალითად:

”თარგმანის თეორია და პრაქტიკა” - ძირითადი საქმიანობაა სემინარებზე ტექსტების თარგმნა და რედაქტირება. ამ აქტივობით, ბუნდოვანია, როგორ შეგვიძლია მივიღოთ სილაბუსის შედეგი "ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით". ასევე, "დიდი ბრიტანეთის ისტორია" - სასწავლო გეგმაში განსაზღვრული სწავლის შედეგია: სტუდენტს "გააჩნია ... მნიშვნელოვანი მოვლენების ანალიზის, კრიტიკულად შეფასებისა და მნიშვნელოვანი შემთხვევების დასაბუთების უნარი". მაგრამ სწავლების მეთოდი არის ლექცია და ჯგუფური მუშაობა, მეთოდოლოგია, რომელიც კრიტიკულ აზროვნებას დიდ ადგილს არ უთმობს.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების შესაბამის დონეს კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს შესაბამისად და ისინი უმეტესად შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს სწავლა გააგრძელონ განათლების შემდეგ დონეზე. ექსპერტთა პანელი იყენებს სიტყვას "უმეტესად", რადგან ინტერვიუების დროს, დამსაქმებლების, ასევე კურსდამთავრებულთა და ახლანდელ სტუდენტთა აზრი დაემთხვა, რომ სტუდენტები ნაკლებად ფლობენ მეტყველების უნარებს. პროგრამას არ გააჩნია ინსტრუმენტული ინგლისური ენის საგანი ან რაიმე სექცია იმ საგნების ფარგლებში, რომლებშიც მოსწავლეებს შეუძლიათ განავითარონ მეტყველების უნარი და ეს აისახება მათ მომავალ დასაქმებაზე, რადგან მათ არ შეუძლიათ ინგლისურად კომუნიკაცია.

საგნების შეფასების შესახებ:

პროგრამას გააჩნია სწავლის შედეგების შეფასების განსაზღვრული მექანიზმი და მათი შეფასება რეგულარულად ხორციელდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ. თუმცა, სწავლის შედეგების შეფასების სისტემა არ ითვალისწინებს დარგის თავისებურებებს. შეფასება ყოველთვის მოიცავს 3 წერილობით გამოცდას (და ზოგჯერ ზეპირ პრეზენტაციას, რომელიც შეადგენს საბოლოო ნიშნის 10% -ს) და ქვიზს (თითქმის ყოველთვის ეს არის წერილობითი ქვიზი), რომელიც აფასებს სტუდენტების ცოდნის მხოლოდ გარკვეულ ასპექტებს: ეს არის მისი ყველაზე თეორიული ნაწილი. საჭიროა ბოლონის პროცესის მიზნების შესაბამისად, შეფასების სხვა ფორმების დამატება: შეფასდეს უნარები, როგორიცაა პრობლემის გადაჭრა, ჯგუფებში მუშაობა, მეტყველების უნარები, მოსმენის უნარი, კრიტიკული აზროვნების და ა.შ.

ასევე, შეფასება ხორციელდება რუბრიკებით (რაც მიუთითებს ობიექტური და სამართლიანი გზით შეფასებაზე), მაგრამ ზოგჯერ, რუბრიკა არ არის ადეკვატური: B2 წერის შეფასების რუბრიკა არის სუსტი, ძალიან მარტივი და არ ასახავს B2-ის წერის მოთხოვნებს - მოცულობას, შინაარსს და ა.შ. უნდა ითქვას, რომ ინტერვიუს დროს პროგრამის ჯგუფი დაგვეთანხმა რუბრიკის შეცვლის თაობაზე. ინტერვიუების დროს სტუდენტებს ძლიერ სურდათ, რომ მეტყველებისა და მოსმენის კომპეტენციების შეფასების კომპონენტი დამატებოდა (როგორც ჩანს, მხოლოდ კითხვისა და წერის კომპონენტის შეფასება ხორციელდება).

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ცნობილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები: პერსონალის წარმომადგენლები, რომლებიც პროგრამაში არიან ჩართულები უზრუნველყოფენ ყველა დაინტერესებული მხარისთვის სწავლის შედეგების გაცნობას. რადგანაც, აღნიშნული სწავლის შედეგები მოსდევს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეორე დისკრიპტორს, ისინი ცნობილია ყველასთვის, ვინც ჩართულია შეფასების პროცესში.

ჩვენი თხოვნით, ფაკულტეტის ადმინისტრაციამ წარმოადგინა თანამშრომლების ტრენინგების ჩამონათვალი ბოლო 5 წლის განმავლობაში. ექსპერტთა ჯგუფს სურს ყურადღება გაამახვილოს იმ მიღწევებზე, რომლებიც უნდა ჰქონდეს ამ ტრენინგებს: ჩამონათვალის მიხედვით და ამასთანავე, ინტერვიუებში პროფესორებმა განაცხადეს, რომ უნივერსიტეტში სხვადასხვა ტიპის შეხვედრები გაიმართა. მიუხედავად ამისა, არცერთი ლექტორის CV-ს არ აქვს იგივე ჩანაწერი ამ ტრენინგებზე დასწრების შესახებ (საკვალიფიკაციო საქმიანობას ძირითადად ინგლისურის ლექტორები ატარებენ, ამასთანავე, ვიწრო სპეციალობით). უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობის ჩამონათვალში არ არის მითითებული ორგანიზაცია და პირები, რომლებმაც ჩაატარეს ტრენინგები. არც ამ სემინარების ხანგრძლივობა და მიზანი არის ნათელი. ყოველი შემთხვევისთვის, არ არსებობს ტრენინგი სწავლების თანამედროვე მეთოდებზე, შეფასების ტიპებსა და ფორმებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს და/ან პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

- პროგრამის სწავლის შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნები;
- პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი (არსებული პროგრამის შემთხვევაში);
- იმ კურსდამთავრებულთა რაოდენობის მონაცემები, რომლებიც აგრძელებენ სწავლას განათლების შემდგომ საფეხურზე;
- ვებ-საიტი;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუების შედეგები.

სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც არის საჯარო და ხელმისაწვდომი დაინტერესებული მხარეებისთვის;
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები და მასალები (სტუდენტების ნაშრომები და ა.შ.);
- კურიკულუმის რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვების შედეგები;
- ინტერვიუების შედეგები.

პროგრამის შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

- პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში სწავლის შედეგების შეფასების შედეგების საფუძველზე;
- თვითშეფასებები, რეკომენდაციები და ანგარიშები (2015-2018) სწავლის შედეგების შეფასების შესახებ.
- გამოკითხვის შედეგები
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- ინსტრუმენტული ინგლისური (როგორც სწავლებისთვის, ასევე შეფასებისთვის) უნდა შედიოდეს საგნების სილაბუსში. ეს არის, უფრო მეტი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე, როგორც მასწავლებლების, ასევე სტუდენტების მიერ და, შესაბამისად, ენის ცოდნის უფრო მეტად შეფასება, განსაკუთრებით ინგლისურად კრიტიკულ აზროვნებაში და მეტყველებაში. ამ გზით, პროგრამა უფრო მეტად მოიცავს დამსაქმებელთა მოთხოვნებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- FCE-ის გამოცდის წარმატებით დასრულებისა და დემონსტრირების უზრუნველსაყოფად, სასურველია, რომ თავიდანვე დაინერგოს იმიტირებული ტესტები და FCE ტესტების მეცადინეობა თავიდანვე, სულ ცოტა, თითო კურსისთვის ერთხელ (ინგლისური I- ინგლისური VI). სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუმ აჩვენა, რომ უმეტეს შემთხვევაში მათ არ აქვთ ინფორმაცია, თუ როგორი იქნება საბოლოო გამოცდა.
- უნივერსიტეტმა ლექტორებს უნდა მიაწოდოს სასწავლო კურსები ახალი მეთოდოლოგიის შესახებ, რომლებიც შესაბამისობაში იქნება ბოლონიის პროცესთან. ამ მიზნით მოწვეული ლექტორების (უცხო ქვეყნები, სხვა უნივერსიტეტები ..) ჩამოყვანა იქნებოდა მნიშვნელოვანი ქმედება.
- თუ სტუდენტებს არ აქვთ სათანადო ცოდნის დონე, რათა საგნები ინგლისურ ენაზე ისწავლონ, შესაძლოა, ინგლისური ენის "ფუნდამენტური პროგრამა" შესთავაზონ, ან იქნებ MOOCS (მასიური ონლაინ ღია კურსები) უნდა შევიდეს პროგრამაში ენის ცოდნის გასაუმჯობესებლად. იხილეთ უფასო და მაღალი ხარისხის ონლაინ კურსები (რჩევა: <https://www.edx.org/es/course/upper-intermediate-english-modern-life-0>, არსებობს ამგვარი 4 კურსი, რომლებიც ნელ-ნელა რთულდება).

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროგრამა გაუმჯობესდა თავდაპირველი შეფასებების რეკომენდაციით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში**შეფასება**

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან		მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს მიზნებისა და დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. დაშვების წინაპირობაა ინგლისური ენის გამოცდების ჩაბარება ერთიან ეროვნულ გამოცდებში.

ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარების მოთხოვნა პროგრამაზე მიღების წინაპირობა და განპირობებულია პროგრამის სპეციფიკით და ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და კვალიფიკაციასთან. ეს წინაპირობები უზრუნველყოფს პროგრამაში მონაწილეობისთვის საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა ჩართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები.

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაზე მიღების მოთხოვნები (კრიტერიუმები და პროცედურები);
- ინფორმაციის საჯაროობა - პროგრამაზე მიღების მოთხოვნების თაობაზე ინფორმაციის გავრცელების მეთოდები;
- ვებ-საიტი;

• უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: რადგანაც NAEC-ის (შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი) გამოცდის გამსვლელი ქულა არ უზრუნველყოფს B1 დონეს ინგლისურის ოთხივე კომპეტენციაში (მაგალითად, გამოცდა საერთოდ არ აფასებს მეტყველებას), საჭიროა მინიმუმ ინგლისურის A2 დონის ან მოსამზადებელი კურსის შეთავაზება იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც აჩვენებენ შედარებით დაბალ დონეს. ასევე მათ შეიძლება დასჭირდეთ მინიმალური ქულის / პროცენტის განსაზღვრა და მათი დოკუმენტირება წინაპირობებში, და რომ გამჭვირვალე გახადონ აბიტურიენტებისთვის. ასევე, ინტერვიუს დროს პროგრამის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ პირველკურსელებისთვის ინგლისურ ენის კომპეტენციის დასადგენი ტესტი, მაგრამ ეს არ არის ასახული პროგრამაში.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი პროგრამა შედგენილია უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და

სირთულე მეტწილად შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის დონეს. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფი გარკვეულ შემოთავაზებას გამოხატავს რამდენიმე კონკრეტულ კურსთან დაკავშირებით:

- ინგლისურენოვანი კურსების დონე ძალიან დაბალია, იმასთან შედარებით თუ რას უნდა ელოდოს სტუდენტი, რომელიც ამთავრებს ინგლისურ ფილოლოგიას. სტუდენტებს ინგლისური ენის შესასწავლად აქვთ მხოლოდ „New English File“. ეს წიგნი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სტუდენტებმა ისწავლონ ენა და სკოლაში მასწავლებლად იმუშაონ.
- საგნები ისწავლება ქართულად, ლიტერატურის საგნებიც კი, და ეს მათ არ მისცემს ცოდნის კარგ დონეს.

პროგრამის კომპონენტების თანმიმდევრობა განისაზღვრება პროგრამის სასწავლო გეგმით, რომელშიც კურსების თანმიმდევრობა თანმიმდევრულია და სტუდენტებს საშუალება აქვთ აირჩიონ საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი კომპონენტები (70 კრედიტი).

აუცილებელია პროგრამების შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის დამატება ვებ – გვერდზე რადგან ეს არის ჩვეულებრივი არხი, რომლითაც როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო სტუდენტები იღებენ ინფორმაციას მათი მომავალი სწავლების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა
- ვებ-საიტი;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, პროგრამამ სტუდენტებს უნდა შესთავაზოს მრავალფეროვანი კურსები, რომლის შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს ცოდნის დონეს.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- შეამოწმეთ და გადახედეთ წინა ნაწილში აღნიშნული საგნების შინაარსს.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 სასწავლო კურსი

- თითოეული ძირითადი კურსის სტუდენტის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან; ამის გარდა, თითოეული კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის განზრახული სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ამ პროგრამაში, თითოეული სავალდებულო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს; და თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება ზოგადი სწავლის შედეგებს, გარდა ცოდნის დონის, კომუნიკაციის კომპეტენციის და პრაქტიკული ტრენინგის ნაკლებობისა (საგნების უმეტესობა თეორიაზეა ორიენტირებული).

გარკვეულ შემთხვევებში გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა სრულად არ შეესაბამება კურსის შინაარსს (მაგ., ინტერვიუს დროს პედაგოგი დაგვთანხმდა, რომ ფონეტიკა I და ფონეტიკა II ორივე არის პრაქტიკული კურსი და, მათში შემავალი თეორიული მასალის გავლა მარტივად არის შესაძლებელი ერთი 5 კრედიტიანი კურსის ფარგლებში). ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ დარჩენილი კრედიტები შეიძლება გამოიყენოთ ნებისმიერი სხვა პრაქტიკული კურსის შეთავაზებისთვის (მაგალითად, აკადემიური წერა ან მეტყველება, ან ნებისმიერი სხვა ინსტრუმენტალური კურსი ინგლისურ ენაზე), განსაკუთრებით, მაშინ როცა დოკუმენტების ანალიზმა და ინტერვიუმ გამოავლინა ინგლისურ ენაში პრაქტიკული პროდუქტიული უნარების გაღრმავების აუცილებლობა.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ზოგიერთ ლიტერატურას სილაბუსებში სჭირდება განახლება (მაგ., "თარგმანის თეორია და პრაქტიკა" - სავალდებულო ლიტერატურა არის 1996, 1998, 2000 წლების).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა
- კურსების სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- გამოკითხვის შედეგები;

- ინტერვიუების შედეგები.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- ზოგიერთი საგნის ბიბლიოგრაფია საჭიროებს განახლებას, ზოგჯერ კი შეცვლას (ისევე როგორც, ინგლისური ენის საგანში). უფრო მეტი კვლევითი სტატიები უნდა დაემატოს საკითხავი მასალის ჩამონათვალს.
- გარკვეულ შემთხვევებში, კრედიტების განაწილება უნდა გადაიხედოს და შეესაბამოს კურსის შინაარსს, მოცულობას და სირთულეს.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- მეტი ინსტრუმენტული საგნები უნდა დაემატოს, ან საგნის უფრო მეტად პრაქტიკული ნაწილები უნდა იყოს ჩართული პროგრამების კურსების ფარგლებში.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

